

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6 8 6

ქ. ბათუმი, 15 თებერვალი 2018 წ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 23 მარტის N258 ბრძანებაში და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ შორის 2017 წლის 23 მარტს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 23 მარტის N258 ბრძანების (შეტანილია ცვლილება 2017 წლის 30 მარტის №283 ბრძანებით) საფუძველზე 2017 წლის 23 მარტს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით სსიპ „ბათუმის ბულვარს“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 10667,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N05.23.04.044) და 12251,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N05.23.04.043). მითითებულ უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში 2017 წლის 26 და 28 აპრილს უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაციის შედეგად, N05.23.04.044 უძრავი ნივთი გაიყო ორ საკადასტრო ერთეულად: 1) 8870,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.057) და 2) 1797,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.058), ხოლო N05.23.04.043 მიწის ნაკვეთი - სამ საკადასტრო ერთეულად: 1) 1207,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.062); 2) 1476 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.063) და 3) 9568,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.064).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 26 იანვარს შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს N01-01-10/323 (N2642/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის N05.23.04.057 მიწის ნაკვეთიდან 4729 კვ.მ. მიწის და N05.23.04.064 მიწის ნაკვეთიდან 4487 კვ.მ. მიწის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისათვის შემდგომი განკარგვის მიზნით. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის 08 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 8870,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.23.04.057) გაიყო ორ საკადასტრო ერთეულად: 1) 4728,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.611) და 4142,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (ს/კ 05.23.04.612), ხოლო 9568,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.23.04.064) გაიყო შემდეგ

საკადასტრო ერთეულებად: 1) 5082,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.23.04.616) და 2) 4486,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.23.04.617).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსისა და მხარეთა შორის 2017 წლის 23 მარტს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 23 მარტის N258 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „1.2.“ და „1.3“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1.2. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 1797,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.04.058);

1.3. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 1207,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.04.062);“

1.2. ბრძანების პირველ პუნქტს „1.20“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი „1.21-1.23“ ქვეპუნქტები:

„1.21. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 1476,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.04.063);

1.22. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 4142,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.04.612);

1.23. ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში (პლაჟი) მდებარე 5082,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.23.04.616)“.

2. შეტანილ იქნას (ცალმხრივად) ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ შორის 2017 წლის 23 მარტს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში და ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების ჩამონათვალში მე-2 და მე-3 პოზიციად განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „1.1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთები და დანართს „1.20“ პოზიციის შემდეგ დაემატოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „1.2“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: N05.23.04.063; N05.23.04.612; N05.23.04.616).

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გააუქმოს (ძალადაკარგულად გამოაცხადოს) ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე 4728,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: 05.23.04.611) და 4486,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

05.23.04.617) სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს უზუფრუქტის უფლების შესახებ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომამე).

5. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებზე სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს უზუფრუქტის უფლების შესახებ რეგისტრირებული მონაცემების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით შესაბამის განცხადებაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი: 61001010495).

6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სსიპ „ბათუმის ბულვარს“.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი